ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 5-19/0117349224-17

"09" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასლის I ჩიხი, №75ა-ში (საკ. კოდი №01.18.06.018.051) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბ ბლოკი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №1940699 09.06.2015წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3503339 31.08.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – კრწანისი, გორგასლის I ჩიხი, №75ა-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები და მსუბუქი კონსტრუქციის კარადები. შემცირებულია პერბოლების სისქე. შეცვლილია ლითონის ცხაურების სიმაღლე. დამატებულია წყალშემკრები მილები.

**„3-1" ფასადი:** შენობის ძირში შეცვლილია კარის გაბარიტი. +21.45 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში აივანზე შეცვლილია კაპიტალური და ლითონის მოაჯირების მდებარეობა. +31.65 ნიშნულზე „2" ღერძთან მოწყობილია ლითონის ცხაურით შევსებული ღიობი.

**„ზ-ა" ფასადი:** შენობის ძირში დამატებულია ფრამუგები. კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კონსტრუქციის კიბე, შეცვლილია კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. „ბ" ღერძთან გაუქმებულია კარი. +1.65 ნიშნულზე „ზ-ა" მონაკვეთში შეცვლილია აგურით მოპირკეთების ფორმა. ამავე მონაკვეთში შეცვლილია აივნის მდებარეობა და ძირში დამატებულია რიგელები. +8.55 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია მოპირკეთების ფორმა.

**„ა-ზ" ფასადი:** შენობის ძირში დამატებულია ფრამუგები. +1.65 ნიშნულზე „ზ-ა" მონაკვეთში შეცვლილია აგურით მოპირკეთების ფორმა და აივნის ძირში დამატებულია რიგელები. +1.95 ნიშნულიდან +21.75 ნიშნულის ჩათვლით „ბ-ე" მონაკვეთში აივნებზე შემცირებულია კედლების სიმაღლე. +8.55 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია მოპირკეთების ფორმა. +5.25 ნიშნულზე „ე-ზ" მონაკვეთში მოწყობილია სატელიტური ანტენები. +25.05 ნიშნულზე გაუქმებულია აივნებს შორის გამყოფი ტიხარი. +28.35 ნიშნულზე ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია რიგელები.

**„1-3" ფასადი:** „1-3" მონაკვეთში გაუქმებულია რუსტებით ლესვა და კედელი შელებილია ერთ ფერში. +18.45 ნიშნულზე „1' ღერძის გარეთ ლითონის ცხაური აივნის მხრიდან შეფუთულია მეტალოპლასტმასის კონსტრუქციით.

შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი. სადარბაზოებში არ არის მოწყობილი კარებები. -1.35 ნიშნულზე გაუქმებულია ტამბური და ორი კარი. „2-3" მონაკვეთში „1" ღერძზე მოწყობილია მონოლითური კედელი. +25.05 ნიშნულზე შემცირებულია აივნის სიგრძე. +28.35 ნიშნულზე „1" ღერძის გარეთ შემცირებულია აივნის სიგრძე. სახურავზე გაზრდილია კიბის უჯრედის სათავსოს და ლიფტის სამანქანოს სიმაღლე. გაზრდილია ორი კარის სიმაღლე. შეცვლილია ვენტილაციო შახტების გაბარიტი და გაზრდილია რაოდენობა.

შეცვლილია ფოტომონტაჟზე ნაჩვენები საყრდენი კედლის ფორმა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის,

ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბაუერი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასლის I ჩიხი, №75ა-ში (საკ. კოდი №01.18.06.018.051) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბ ბლოკი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01173491224-17 15.12.2017წ. განცხადება.
№წ-19/01173491224-17 18.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე